სმირნოვების სახლი - საჩუქრად საქართველოს
Дом Смирновых - в дар Грузии
The Smirnovs' House - a gift to Georgia

HISTOIRE DE FRANCE

სმირნოვების სახლი - საჩუქრად საქართველოს
Дом Смирновых - в дар Грузии
The Smirnovs' House - a gift to Georgia

თბილისი
ТБИЛИСИ
TBILISI

2009

წიგნის ავტორები: **მარიამ გაჩეჩილაძე, თამარ ბელაშვილი და ალექსანდრე სვატიკოვი**
Авторы книги: **Мариам Гачечиладзе, Тамар Белашвили, Александр Сватиков**
Authors: **Mariam Gachechiladze, Tamar Belashvili and Alexander Svatikov**

რედაქტორი: **დიმიტრი თუმანიშვილი**
Редактор: **Дмитрий Туманишвили**
Editor: **Dimitri Tumanishvili**

ფოტოსურათები: **ალექსანდრე სვატიკოვი**
Фотографии: **Александр Сватиков**
Photos: **Alexander Svatikov**

რუსული თარგმანი: **გინა ჭელიძე**
Перевод на русский язык: **Гина Челидзе**
The Russian translation: **Gina Chelidze**

ინგლისური თარგმანი: **ასმათ ლეკიაშვილი**
Перевод на английский язык: **Асмат Лекиашвили**
The English translation: **Asmat Lekiashvili**

ინგლისური ტექსტის რედაქტორი: **თინათინ ნამგალაშვილი**
Редактор английского текста: **Тинатин Намгалашвили**
The English text editor: **Tinatin Namgalashvili**

დიზაინი, დაკაბადონება: **დავით ელბაქიძე-მაჭავარიანი**
Дизайн, верстка: **Давид Элбакидзе-Мачавариани**
Design: **David Elbakidze-Machavariani**

ტექსტი და ანოტაციები:
Над текстами и аннотациями работали:
Preface and Annotations:

სმირნოვების ოჯახი საქართველოში: **ალექსანდრე სვატიკოვი**
Семья Смирновых в Грузии: **Александр Сватиков**
The Smirnovs in Georgia: **Alexander Svatikov**

მარიამ გაჩეჩილაძე *(დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება)*
Мариам Гачечиладзе *(Декоративно-прикладное искусство)*
Mariam Gachechiladze *(decorative-applied art)*

დალი ლებანიძე *(სახვითი ხელოვნება)*
Дали Лебанидзе *(Изобразительное искусство)*
Dali Lebanidze *(fine arts)*

ეკატერინე გაჩეჩილაძე *(სახვითი ხელოვნება)*
Екатерина Гачечиладзе *(Изобразительное искусство)*
Ekatherine Gachechiladze *(fine arts)*

ნანა მირცხულავა *(ავეჯი, ბრინჯაოს ნაკეთობები)*
Нана Мирцхулава *(Мебель, изделия из бронзы)*
Nana Mirtskhulava *(furniture, bronze articles)*

თამარ ბელაშვილი *(ხატები; დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება - მინა, კერამიკა)*
Тамар Белашвили *(Иконы, декоративно-прикладное искусство, стекло, керамика)*
Tamar Belashvili *(icons; decorative-applied art, glass, ceramic)*

დახმარებისათვის მადლობას უხდით:
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრს ბ-ნ ნიკოლოზ რურუას; მინისტრის მოადგილეებს ბ-ნ დავით ცხადაძეს და ბ-ნ გიორგი ჩალაძეს; სამინისტროს მთავარ სპეციალისტს, ICOM-ის საქართველოს ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარეს ქ-ნ ინგა ქარაიას; კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურ დირექტორს ბ-ნ ნიკოლოზ ვაჩეიშვილს; სააგენტოს თანამშრომელს ქ-ნ ქრისტინე დარჩიას; საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „რუსული კლუბის" პრეზიდენტს ბ-ნ ნიკოლოზ სვენტიცკის; კულტურულ ურთიერთობათა ცენტრის „კავკასიური სახლის" დირექტორს ქ-ნ ნაირა გელაშვილს; „კავკასიური სახლის" თანამშრომლებს: ბ-ნ მიხეილ ბეროშვილს, ქ-ნ მარინე კეკელიძეს, ქ-ნ ნარა კუსრაევას; შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმის კონსერვატორს ბ-ნ გიორგი მარსაგიშვილს, კურატორს ქ-ნ ელენე კავლელაშვილს, გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის მთავარ მეცნიერ-თანამშრომელს ბ-ნ გიორგი ხოშტარიას და უფროს მეცნიერ-თანამშრომელს ქ-ნ მარინე მეძმარიაშვილს.

Благодарим за поддержку:
Министра культуры, охраны памятников и спорта Грузии Николая Руруа; заместителей министра Давида Цхададзе и Георгия Чададзе; главного специалиста Министерства, председателя национального комитета Грузии ICOM-а Ингу Карая; Генерального директора Национального агентства по охране культурного наследия Николая Вачеишвили; сотрудницу агентства Кристину Дарчия; президента Международного культурно-просветительского союза «Русский клуб» Николая Свентицкого; директора Центра культурных связей Грузии «Кавказский дом» Наиру Гелашвили; сотрудников «Кавказского дома»: Михаила Берошвили, Марину Кекелидзе, Нару Кусраеву; сотрудников Музея искусств Грузии им. Ш.Амиранашвили Георгия Марсагишвили и Елену Кавлелашвили; главного научного сотрудника Национального исследовательского центра истории грузинского искусства и охраны памятников им. Г. Н. Чубинашвили Георгия Хоштария и старшего научного сотрудника Марину Медзмариашвили.

We thank for their assistance to:
Nikoloz Rurua, the Minister of Culture, Protection of Monuments and Sports;
Deputies of Minister Davit Tskhadadze and George Chaladze; The Chief specialist of Ministry, ICOM the chairman of Georgian national committe's - Inga Qaraia; Nikoloz Vacheishvili, the Director of the National Agency for Cultural Heritage Preservation; Cooperator of Agency – Qristine Darchia; The president of the International Cultural-Educational Association "The Russian Club"- Nikoloz Sventitski; The director of "The Caucasian House" – the Centre of the Caucasian Interrelations - Naira Gelashvili; Michael Beroshvili, Marine Kekelidze, Nara Kusraeva – the employees of "The Caucasian House"; George Marsagishvili, the conservative of the Sh. Amiranashvili Museum of Arts; The curator - Ellene Kavlelashvili; George khoshtaria, the chief specialist of G. Chubinashvili National Research Center of the History of Georgian Art and Protection of Monuments and elder scientist cooparator - Marina Medzmariashvili.

სმირნოვების ოჯახი საქართ

СЕМЬЯ СМИРНОВЫХ В ГРУЗИИ

THE SMIRNOVS IN GEORGIA

ჰ.-დ. მიტრეიტერი.
ალექსანდრა სმირნოვა-როსეტის
პორტრეტი.
1820-1830-იანი ნლები

Г.-Д. Митрейтер.
Портрет А.О. Смирновой-Россет.
1820-1830-ые годы

H.-D. Mitreiter.
Alexandra Smirnova-Rosset's portrait.
1820-1830

ფ. კრიუგერი.
ლითოგრაფი ვერნერი.
ნიკოლოზ სმირნოვის პორტრეტი.
1835

Ф.Крюгер.
Литограф Вернер.
Портрет Н.М. Смирнова.
1835

F. Kriuger.
Lithographer Verner.
Nicholas Smirnov's portrait.
1835

თბილისში (1), გალაკტიონ ტაბიძის № 20-ში (ყოფილი განის; შემდგომში ა. წერეთლის ქუჩა), სმირნოვების სახლში ერთმანეთზე მყარად იყო გადაჯაჭვული სხვადასხვა ეპოქები, მხატვრული სტილები და საუკუნეთა სიღრმეში განფენილი გენეალოგიური ფესვები, ამსახველი ამ გვარის კავშირებისა ქართულ, რუსულ, სომხურ, იტალიურ, გერმანულ, პოლონურ, ფრანგულ საწყისებთან. პუშკინის მსგავსად სმირნოვებსაც შეეძლოთ ეთქვათ: ,,ჩემი წინაპრების სახელი მუდმივად გეხვდება ჩვენს ისტორიაშიო".

1847 წლის ზაფხულში, ქ. კალუგაში, გუბერნატორ ნიკოლოზ მიხეილის ძე სმირნოვის (1808-1870) და მისი მეუღლის, ალექსანდრა ოსიპის ასული სმირნოვა-როსეტის (1809-1882) ოჯახში უმცროსი ვაჟიშვილი მიხეილი დაიბადა.

ბავშვის მამა, ნიკოლოზ სმირნოვი, ძველი მოსკოვური გვარის წარმომადგენელი იყო. მისი ერთ-ერთი წინაპარი სერგეი ლეონტის ძე ბუხვოსტოვი, პირველი რუსი ჯვარისკაცი, პეტრე პირველის არმიაში მსახურობდა. ხელმწიფე დიდად აფასებდა თავის ერთგულ ჯვარისკაცს, რომელიც ყველა მის მიერ ჩატარებული ბრძოლის მონაწილე იყო. სმირნოვების ოჯახში ფაქიზად ინახავდნენ იმპერატორის საჩუქრებს და სიამოვნებით აჩვენებდნენ ახლობლებს.

ახალშობილის დედა, ალექსანდრა სმირნოვა-როსეტი, 1809 წლის 6 მარტს, ოდესაში, ოსიპ ივანეს ძე როსეტის (1760-1813) და ნადეჟდა ივანეს ასული ლორერის (1790-1825) ოჯახში დაიბადა. როსეტი ძველი თავადური გვარია. მის წარმომავლობას ზოგი მკვლევარი იტალიას, ზოგი შვეიცარიას, ცნობილი პუშკინოლოგი პ. რეინბოტი კი რუმინეთს უკავშირებს. საკუთარი გვარის წარმოშობაზე განსხვავებული აზრის მქონე, ოსიპ როსეტის შვილები, თავის წინაპრებს საფრანგეთში ეძებდნენ, რის გამოც გვარის იტალიური ფორმა როსეტი, ფრანგულ ყაიდაზე როსეტ-ად შეკვეცეს.

პეტრე I
Петр I
Peter I

ალექსანდრა სმირნოვა-როსეტი ლიტერატურული სალონის დიასახლისი და ბრწყინვალე მემუარების ავტორი ა. პუშკინის, ვ. ჟუკოვსკის, ი. კრილოვის, ნ. გოგოლის, ე. როსტოპჩინის, ა. ტურგენევის, კ. ბრიულოვის, ა. მიცკევიჩის, ფ. ლისტის უახლოესი მეგობარი იყო. ამ სიის გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება. ამ ქალბატონის განუმეორებელი სახე XIX საუკუნის რუსულმა პოეზიამ და პროზამ უკვდავყო.

1855 წელს სმირნოვებმა თავისი ვაჟის აღმზრდელად გამოჩენილი მწერალი, პოეტი და დრამატურგი იაკობ პოლონსკი მიიწვიეს. აღსაზრდელთან ყოველდღიური ურთიერთობის დროს, ი. პოლონსკი ხშირად იგონებს საქართველოში გატარებულ წლებს (1846-1851). პერიოდს, რომელმაც მის ცხოვრებასა და შემოქმედებას მკაფიო კვალი დაამჩნია. თვითმყოფადი ფოლკლორის, მდიდარი ისტორიისა და ეთნოგრაფიის მქონე ეს ქვეყანა მუდმივად ფიგურირებდა მასწავლებლის საუბრებში. მონათხრობი ძლიერ ზემოქმედებას ახდენდა ყრმა მიხეილზე, რომლის ძარღვებში ქართული სისხლიც ერია.

მიხეილის დედამ — ალექსანდრა როსეტმა ბავშვობის წლები უკრაინაში, სოფელ გრამაკლეაში, ქართველი ბებიის — ეკატერინე იასეს ასული ლორერის (ქალიშვილობაში ციციშვილის) საგვარეულო სახლში გაატარა. ეკატერინე ციციშვილი უძველესი ქართული თავადური გვარის წარმომადგენელი იყო. იასესა (დაბ. დაახლ. 1700 წ.) და მისი მეუღლის მატრონას შვილებიდან ცნობილია დიმიტრი ციციშვილი (1747-1835), რომელსაც მეფისწულ გიორგის ქალიშვილი ბარბარე გრუზინსკაია (1762-1832) ჰყავდა ცოლად. ციციშვილების ნათესაობა ქართულ სამეფო კართან ამით არ იფარგლებოდა. ეკატერინესა და დიმიტრის დიდი პაპა დაქორწინებული იყო კახეთის მეფის ალექსანდრე II-ს შვილიშვილზე. საქართველოს უკანასკნელ მეფეს გიორგი XII-ს კი ცოლად, ამავე საგვარეულოს წარმომადგენელი, მარიამ ციციშვილი ჰყავდა. მსგავსი ნათესაური კავშირები ოჯახში კარგად ახსოვდათ და ამით ჯეროვნად ამაყობდნენ კიდეც. იასე ციციშვილის ოჯახს ხშირად სტუმრობდა ქართული მოწინავე საზოგადოებაც, მათ შორის გამოჩენილი ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი.

მაღალ საზოგადოებასთან სიახლოვე ლორერთა ოჯახშიც გრძელდებოდა. ერთხელ სოფელ გრამაკლეის მახლობლად, გავლით მყოფმა იმპერატორმა

ალექსანდრე I-მაც კი მოინახულა ეკატერინე ციციშვილის სახლი. ამ სტუმრობას ოჯახში ხშირად სიამაყით იხსენებდნენ.

ლორერებს რვა შვილი ჰყავდათ. მათ შორის იყო 1812 წლის სამამულო ომის მონაწილე, ვიატკის ქვეითი პოლკის მაიორი, დეკაბრისტების ჩრდილოეთ და სამხრეთ საზოგადოების წევრი, მემუარების ავტორი ნიკოლოზ ივანეს ძე ლორერი (1795-1873). მისი პორტრეტის ასლი დღესდღეობით სმირნოვების ოჯახის კოლექციაში ინახება ("ნ. ლორერის პორტრეტი", 1841, პიატიგორსკი. მხატვარი რ. შვედე. ერმიტაჟი). (2).

იაკობ პოლონსკი ალექსანდრა სმირნოვა-როსეტისა და მისი მეუღლის ცხოვრებას უშუალოდ ადევნებდა თვალს და დაგვიტოვა საინტერესო მოგონებები მათ შესახებ (3).

1820 წ-ს ა. როსეტი პეტერბურგის წმ. ეკატერინეს ორდენის სასწავლებელში ჩაირიცხა. სწავლის დასრულებისთანავე ის ჯერ იმპერატრიცა მარია ფიოდოროვნას, მოგვიანებით კი ალექსანდრა ფიოდოროვნას ფრეილინა ხდება. ზამთრის სასახლეში, ალექსანდრა გამუდმებულად იმპერატორთან დაახლოებულ პირთა წრეში ტრიალებს. აქ ის უამრავ ნაცნობს, მეხოტბესა თუ მოშურნეს იძენს. სამეფო კარის სასიამოვნო, ოფიციალური და ზოგჯერ მომაბეზრებელი, დამქანცველი ცხოვრების მიუხედავად, ახალგაზრდა ა. როსეტი თავის ახლო მეგობრებსა და ნათესავებზე ზრუნვასაც ახერხებს. სწორედ ის გამოსთხოეს უზენაეს ხელისუფალს განაჩენის შემსუბუქებას დეკაბრისტ ნ. ლორერისათვის, რომელიც ალექსანდრას ბიძად ეკუთვნის. ასევე მისი მეოხებით გადაურჩება ა. პუშკინის ნაწარმოებები ხელმწიფის კარის ცენზურის დევნას, ნ. გოგოლი კი პენსიას მოიპოვებს და იტალიაში ცხოვრებასა და „მკვდარი სულების" მეორე ტომზე მუშაობას განაგრძობს. ალექსანდრას მფარველობიდ სარგებლობდნენ მხატვარი ა. ივანოვი და მწერალი ი. ტურგენევი. ხელოვნების ესოდენ გამორჩეული ქომაგი, ა. როსეტი, პეტრაშევცებსაც გულწრფელად უთანაგრძნობდა. თავის დღიურში 1845 წ-ს ალექსანდრა ჩაწერს: „ჩემი საქმე სხვის სასიკეთოდ რაიმეს თხოვნაა და არაფერია ამაში სამარცხვინო. მე ხომ, მადლობა ღმერთს, ჩემთვის არაფერს ვითხოვ..." (4) ამ მოსაზრების ერთგულებას ალექსანდრა სმირნოვა-როსეტი მთელი თავისი ცხოვრებით ადასტურებს.

ვ. ტროპინინი.
ა.პუშკინის პორტრეტი. 1827.
(ასლი)

В.А.Тропинин.
Портрет А.С.Пушкина. 1827.
(Копия)

V.A. Tropinin.
Pushkin's portrait. 1827.
(Copy)



ნ. გოგოლი
Н.В. Гоголь
N.V. Gogol

ზამთრის სასახლეში ახალგაზრდა ქალბატონი არამარტო სამეფო ოჯახის წევრებს, არამედ ვ. ჟუკოვსკისაც დაუახლოვდება, რომელიც მას ა. კარამზინს წარუდგენს. მათ გარემოცვაში გაიცნობს საშენკა ა. კოშელოვს და თავდავიწყებით შეიყვარებს კიდეც. იმპერატორის ოჯახთან ალექსანდრას ახლო ურთიერთობა თანდათანობით ყმაწვილი კაცის მუდმივი ეჭვიანობის

საბაბად იქცევა და მაი დაშორებასაც განაპირობებს.

ფ. ლისტი
Ф.Лист
F. List

ალექსანდრას „ჩერქეზულ თვალთა" მომნუსხველი ხიბლის აღწერაში ერთმანეთს ფარულად ეპაექრებოდნენ კარამზინის სალონის ხშირი სტუმრები. XIX ს-ის გამოჩენილი რუსი პოეტები. ა. ვიაზემსკი თავს ამ შავგვრემანი ლამაზმანის „სამხედრო ტყვედ" მიიჩნევდა. ვ. ჟუკოვსკი, ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად, პ. პლეტნიოვის დახმარებით გაუზიარებელ სიყვარულზე ესაუბრებოდა ა. როსეტის. ალექსანდრა მოგვიანებითაც ხშირად ლებულობდა ჰევზამეტრით დაწერილ სახუმარო წერილებს პ. პლეტნიოვისაგან, რაც აწ უკვე დიდი ხნის მეგობრებს წარსულის თბილი მოგონებებით აღავსებდა. ამ მშვენიერი ქალბატონის მეხოტბეთა შორის იყვნენ ა. პუშკინი, რომელიც მას „ნევის ვენერას" ადრიდა; ა. ხომიაკოვი, ვისთვისაც როსეტი ბოლომდე მშვენიერ „უცხოელად" დარჩა; ი. მიატლევი, რომელიც მას „ქალბატონ კურდიუკოვას ნათლიდედად" აღიქვამდა და მ. ლერმონტოვი, ვინც ისე იბნეოდა ამ ქალის წინაშე, რომ თანამედროვეებს მუდმივად საბაბს უქმნიდა არაორაზროვანი მსჯელობისათვის. დღეს უკვე ისტორიის კუთვნილებად ქცეულ ამ ადამიანთა მრავალპლანიან ურთიერთობებში ჩაღრმავების საკამათო მცდელობად შეიძლება მივიჩნიოთ ლ. ბელოვას მხატვრულ-დოკუმენტური ნაწარმოებიც „ალექსანდრა და მიხეილი" (მ., 2005. რუსულ ენაზე), რომელიც ა. სმირნოვას პიროვნებისადმი XX ს-ის 70-იანი წლებიდან მოყოლებული სულ უფრო მზარდ ინტერესს მკაფიოდ წარმოაჩენს.

ა. როსეტის პოეტურ პერსონალიებს, როგორც რაოდენობრივად, ასევე ავტორთა შემადგენლობით ძნელია ანალოგი მოეძებნოს. უკვე ნახსენებ შემოქმედთა გარდა აღსანიშნავია: ვ. თუმანსკი, ი. აქსაკოვი, ე. როსტოპჩინი, ს. სობოლევსკი, კ. პრუტკოვი...

ალექსანდრა პროტოტიპია ნ. გოგოლის, მ. ლერმონტოვის თუ ი. ტურგენევის მხატვრულ ნაწარმოებთა გმირების. ის ნახსენებია ლ. ტოლსტოის დღიურებში და ფ. დოსტოევსკის რომანის „ქაჯები" — მოსამზადებელ ვარიანტში.

აღმოსავლური სილამაზის გარდა ა. როსეტის მრავალმხრივი ნიჭიერება და ფენომენალური მეხსიერებაც გამოარჩევდა. მას არაფრად ულირდა რამდენიმე კვირაში ბერძნული ენის შესწავლა; ფლობდა ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ, იტალიურ, უკრაინულ და ძვ. ებრაულ ენებს. მისი დახვეწილი რუსული პუშკინსაც კი აღაფრთოვანებდა.

ალექსანდრა მუსიკას ბეთჰოვენის მოწაფესთან, ქალბატონ გირტთან სწავლობდა. მოგვიანებით გერმანელი რომანტიკოსი პოეტის, ულანდის ლექსებზე რომანსებს წერდა; ვ. ოდოევსკისა და ძმებ ვიელგორსკებთან ერთად კი ხშირად ოთხ ხელშიც უკრავდა.


Пиковая дама
Опера
П. Чайковскаго.
Москва у П. Юргенсона
П. ЧАЙКОВСКАГО. ПИКОВАЯ ДАМА. ОПЕРА ВЪ ДВѢ РУКИ.

რ.შვედე.
ნ. ლორერის პორტრეტი. 1841.
(ასლი)

Р.К.Шведе.
Портрет Н.И. Лорера. 1841.
(копия)

R. Shvede.
The Portrait of the
N.I. Lorer. 1841.
(copy)

მრავალმხრივი ნიჭიერებით ვამორჩეული ამ ქალბატონის ინტერესთა არეალში ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებიც შედიოდა. ამასთან ის საღვთისმეტყველო საკითხებითაც ინტერესდებოდა. ეკლესიის მამების შრომებს ორიგინალში, ძველ ებრაულ ან ბერძნულ ენებზე კითხულობდა. ლოგიკურია. მსგავსი ინტელექტის მქონე ალექსანდრას მოსწრებული სიტყვა-პასუხი (მის რჩევებს რუსეთის ბევრი წარჩინებული პირი ითვალისწინებდა), დახვეწილი. გემოვნებიანი მთხრობელის ბრწყინვალე უნარი და მსჯელობისა თუ მოქმედების დამოუკიდებლობა გამოარჩევდა.

XIX ს-ის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ქალბატონის პეტერბურგის ლიტერატურული სალონი, რუსული კულტურის თვალსაჩინო კერად მოიაზრებოდა. ცნობილი ისტორიკოსის ვ. კლუჩევსკის სიტყვებით: „ნიკოლოზ I ალექსანდრას სალონში თავს ჩინებულად გრძნობდა, თითქოს საზღვარგარეთ ყოფილიყოს. ის თავისუფლად მოაზროვნე ევროპელივით, ნამდვილი ჯენტლმენივით იქცეოდა, სრულიად უბრალოდ..." (5). ერთხელ იმპერატორს თავადაც უხუმრია: „მე რუსეთის მბრძანებელი გავხდი ოდნავ უფრო ადრე, ვიდრე ალექსანდრა რუს პოეტთა გულებზე გამეფდებოდა". (6).

ალექსანდრა სმირნოვა-როსეტი გარდაიცვალა პარიზში 1882 წლის 9 სექტემბერს. დაკრძალულია მოსკოვში, დონის მონასტრის სასაფლაოზე. დაკრძალვას მისი ვაჟი, მიხეილი და შვილიშვილი გიორგი ესწრებოდნენ.

* * *

სმირნოვების ვაჟი, მიხეილ სმირნოვი, ასაკთან შედარებით მეტად განსწავლული ბავშვი იყო. თანამედროვენი მიიჩნევდნენ, რომ მისი ხასიათის ფორმირებაზე დედის ფაქტორი ძლიერ ზემოქმედებდა. ალექსანდრას მსგავსად მასაც ლიტერატურა იტაცებდა და რეგულარულად კითხულობდა ცნობილ თუ ნაკლებადცნობილ ავტორთა უახლეს პუბლიკაციებს. ამის მიუხედავად მიხეილ სმირნოვმა არჩევანი მაინც საბუნებისმეტყველო მეცნიერებებზე შეაჩერა და სასწავლებლად ოდესის ნოვოროსიისკის უნივერსიტეტს მიაშურა. მისი სახელი შეტანილია ამ უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულთა ოქროს სიაში. როგორც ე. ანდრეევსკის ჩანაწერებიდან (1867) ვგებულობთ, მიხეილ სმირნოვი კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად გამოცდების წარჩინებით ჩაბარების შემდეგ საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობის დაწყებას გეგმავდა. ეს სურვილი აუხდენელ ოცნებად იქცა, რადგან მალევე მიხეილ სმირნოვმა თბილისში მთავარმართებელთან საგანგებო დავალებათა ჩინოვნიკის თანამდებობაზე დაიწყო მუშაობა.

ახალგაზრდა მეცნიერის წინაშე, საქართველოში, ფართო სამოღვაწეო არეალი იშლება. საკუთარი აღმზრდელის, ი. პოლონსკის მსგავსად, ისიც თითქმის მთლიანად, ფეხით შემოივლის წინაპრების ქვეყანას. იკვლევს ადგილობრივი ჰავის ცვალებადობას. ინიშნავს სხვადასხვა მცენარის ყვავილობის დროს და აკვირდება ფლორის თავისებურებებს. როგორც თბილისის კავკასიის მუზეუმის იმუამინდელი დირექტორი, გუსტავ რადე იგონებს: „...ჩვენთან დაცული მცენარეთა ნიმუშები, მათი მოპოვების ადგილის ნიშნით, 1883 წელს, ცალკეულ მუყაოს კოლოფებში დანაწილდა. მთელი ზაფხული სმირნოვმა ჩემთან გაატარა. ერთად ვაწარმოებდით ამ კოლექციის სისტემატიზირებას და ეტიკეტირებას. სამუშაომ რამდენიმე თვეს გასტანა. სმირნოვის ინტერესი ამ მასალის საფუძვლიანი შესწავლისადმი კიდევ უფრო გაძლიერდა" (7). ათეულობით კავკასიური ენდემური ჯიში გააცნო მიხეილ სმირნოვმა სამეცნიერო სამყაროს. ამ მცენარეთა ლათინურ სახელწოდებებში პირველაღმომჩენის გვარიც ფიგურირებს. წლების მანძილზე მეცნიერის მიერ ნაგროვები მასალების საფუძველზე შედგენილი დიდი ჰერბარიუმი დღეს-დღეობით საქართველოს ეროვნული მუზეუმის ექსპონატთა შორისაა დაცული.

მ. სმირნოვი კავკასიის გეობოტანიკური რაიონირების წამომწყებად შეიძლება იქნას მიჩნეული. ის აქტიურად მონაწილეობდა თბილისის ბოტანიკური ბაღის ბიბლიოთეკის შექმნაში. ოცნებობდა კავკასიის ალპური ბაღის გაშენებაზე, რაც იმ დროის მწირი ტექნიკური შესაძლებლობების გამო მხოლოდ ფანტასტიკის სფეროს კუთვნილებად დარჩა.

დაგროვილი დაკვირვებების საფუძველზე მეცნიერმა 1884 წ-ს „მოსკოვის ბუნებისმოყვარულთა საზოგადოების მაცნეში", პუბლიკაციები გამოაქვეყნა, მოგვიანებით კი აქვე მცენარეების მის მიერ შედგენილი სიაც დაიბეჭდა. მზადდებოდა ფუნდამენტური ნაშრომი სახელწოდებით „კავკასიის ფლორა".

საქართველოში ყოფნის დროს მ. სმირნოვს მიმოწერა ჰქონდა რუსეთისა და დასავლეთ ევროპის წამყვან მეცნიერებთან, მათ შორის ნ. მიკლუხო-მაკლაისა და პ. ბროკთან. ის დაუახლოვდა ადგილობრივ მკვლევარებს, გახდა მრავალი საქველმოქმედო და სამეცნიერო საზოგადოების წევრი. ასეთებია: სამედიცინო საზოგადოება; კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოება; რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება; კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საზოგადოება და სოფლის მეურნეობის საზოგადოება. მასვე ეკისრება კავკასიაში მართლმადიდებლობის აღდგენის ორგანიზაციის კანცელარიის მართვაც.

ი. პოლონსკი
Я.П. Полонский
I.P. Polonski

განსაცვიფრებელია მისი ღვაწლი მეცნიერების სხვადასხვა სფეროში, დაწყებული ლინგვისტიკითა და ისტორიით — დამთავრებული გეოგრაფიითა თუ ბოტანიკით. მისი კვლევები,



მიხეილ სმირნოვი. თბილისი.
ვ. ბარკანოვის ფოტო-სტუდია

Михаил Николаевич Смирнов.
Тбилиси. Фото-студия В.Барканова

Michael N. Smirnov. Tbilisi.
V. Barkanov's photo studio

მიხეილ სმირნოვის დიპლომი
გაცემული პარიზის ანტროპოლოგიური
საზოგადოების მიერ. 1877.
28,5 X 38,5

Диплом М.Н. Смирнова, выданный
Парижским антропологическим
обществом. 1877.
28,5 X 38,5

Michael Smirnov's Diploma given by the
Anthropological Society of Paris. 1877.
28,5 X 38,5

წლების განმავლობაში ნაგროვები სამეცნიერო კოლექციები, ანთროპოლოგიური მონაცემები, მოპოვებული მცხეთის მახლობლად სამთავროს სამაროვანის გათხრებში აღმოჩენილი თავის ქალების შესწავლის შედეგად, ასევე ფენოლოგიური დაკვირვებები. საფუძვლად დაედო მრავალ პუბლიკაციას საქართველოში. რუსეთსა და ევროპაში.

მიხეილ სმირნოვი საქართველოში გატაცებით მუშაობდა მდიდარ ადგილობრივ ეთნოგრაფიულ, ფოლკლორულ და ლინგვისტურ მასალებზეც. თავის შრომებში ის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ უძველესი დროიდან მოყოლებული საქართველოს ტერიტორიაზე მუდამ მაღალგანვითარებული ხალხი ბინადრობდა.

პარიზში „Revue de antropologie"-ს ერთ-ერთ ნომერში დაიბეჭდა მ.სმირნოვის სტატია, რომელიც ეხებოდა კავკასიის ეთნოგარფიას. სტატიაში აღინიშნა, რომ ევროპის ქვეყნებში, თითქმის არაფერი იციან ამ რეგიონის ხალხების ენებისა და ტიპაჟების შესახებ. ნაშრომში განსაზღვრულია ეთნოგრაფიის, ეთნოგენურობისა და ეთნოლოგიურობის ზუსტი მნიშვნელობები. ავტორი კავკასიის ეთნოგრაფიის შესწავლის კომპლექსური მეთოდის აუცილებლობას ემხრობა და ამასთან დაკავშირებით ანტიკური თუ თანამედროვე ეპოქის მკვლევართა მოსაზრებებსაც იშველიებს. მოხმობილი ციტატებიდან ნათელი ხდება, რომ მ. სმირნოვი საფუძვლიანად იცნობს ვახუშტი ბატონიშვილის და ა. ცაგარელის შრომებს.

1881 წ-ს საქართველოში სრულიად რუსეთის მე-5 არქეოლოგიური ყრილობა ტარდება. მასში ცნობილი რუსი, ქართველი და ევროპელი მეცნიერები მონაწილეობენ (გრაფი ა. უვაროვი, გრაფინიები ა. უვაროვა და პ. უვაროვა;



მიხეილ სმირნოვის დიპლომი
გაცემული ავსტრიის ზოოლოგიური
საზოგადოების მიერ. 1881.
39,5 X 55,5

Диплом М.Н. Смирнова,
выданный Зоологическим
обществом Австрии. 1881.
39,5 X 55,5

Michael Smirnov's Diploma given by
the Zoological Society of Austria. 1881.
39,5×55,5



მიხეილ თამამშევი და მისი მეუღლე ბარბარე ყორღანოვა-თამამშევა შვილებთან ერთად (ელისაბედი, ეკატერინე, გიორგი, ვასილი)

Михаил Тамамшев с супругой Варварой Корганоной-Тамамшевой и детьми (Елизавета, Екатерина, Георгий, Василий)

Michael Tamamshev and his wife – Barbara Korganova-Tamamsheva together with their children (Elizabeth, Katherine, George, Vasil)

პ. ვისკოვატოვი, ი. ცვეტაევი, ნ. კოსტომაროვი, ე. ვეიდენბაუმი, დ. ჩუბინაშვილი, რ. ვირხოვი და სხვ.). მათ შორისაა მ. სმირნოვიც. ის ამ ყრილობის მსვლელობისას არაერთ გამოჩენილ მკვლევარს უახლოვდება და მის ხელთ არსებულ საინტერესო მასალებს უზიარებს. მ. სმირნოვის ახლო ნაცნობთა წრეში ამ დროისათვის ისეთი განსხვავებული ინტერესებისა და საქმიანობის ადამიანები მოიაზრებიან როგორიცაა: აკადემიკოსი ვ. აბიხი, რ. ტრაუტფეტერი, ხ. სტევენი, იმხანად თბილისში მოღვაწე ცნობილი გერმანელი არქიტექტორი ა. ზალცმანი, თავადები ს. ტრუბეცკოი და გ. შარვაშიძე და მრავალი სხვა.

მეცნიერების ისტორიაში, ერთ-ერთი პირველი კავკასიოლოგი, მ. სმირნოვი, ამ რეგიონის შესწავლაში გაწეული ღვაწლის გამო, ხშირად ,,სმირნოვ-კავკაზსკის" სახელითაც მოიხსენიება.

1876 წ-ს მიხეილ სმირნოვი ელისაბედ (ლიზა) მიხეილის ასულ თამამშევაზე (1854-1919) ქორწინდება (8). იმავე წელს მათ ვაჟი გიორგი სმირნოვი (1876-1964) შეეძინებათ.

ბებია ნატო (ბარბარე ვასილის ასული ყორღანოვა-თამამშევას დედა) მეუღლის ვასილ ყორღანოვის (ყორღანაშვილის) პორტრეტით

Бабушка Нато (мать Варвары Васильевны Коргановой-Тамамшевой) с портретом супруга Василия Корганова (Корганашвили)

Grandmother Nato (Barbara V. Korganova-Tamamsheva's mother) with a portrait of her husband – Vasil Korganov (Korganashvili)

ელისაბედი ძველი სომხური საგვარეულო დინასტიის წარმომადგენელი იყო. ჰაპამისს. იაგორ ივანეს ძე თამამშევს „პირადი თავადიშვილობა" ჰქონდა ნაბოძები. თურქეთთან და სპარსეთთან ომის დროს დაგროვილი კაპიტალის მეოხებით ის და მისი ძმა გაბრიელი უმდიდრეს თბილისელ ვაჭრებად ითვლებოდნენ. XIX ს-ის დასაწყისში იაგორს საპატიო მოქალაქის წოდებაც მისცეს.

1851 წ-ს თბილისში, ერევნის მოედანზე (ამჟამინდელი თავისუფლების მოედანი), კავკასიის მთავარმართებლის მ. ვორონცოვის დავალებით გაბრიელ თამამშევმა კავკასიაში პირველი თეატრის შენობა ააგო (არქიტექტორი ჯ. სკუდიერი, მხატვარი გ. გაგარინი). (9).

ი. თამამშევის ქონებას უმთავრესად სახლები და მიწის ნაკვეთები შეადგენდა. მისი სურვილით ერთ-ერთ მათგანზე (განის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე), 1859 წ-ს, არქიტექტორ ოტო სიმონსონის პროექტით საცხოვრებელი სახლი აშენდა. აქ მოგვიანებით მიხეილ სმირნოვისა და ელისაბედ თამამშევას ოჯახმა დაიდო ბინა.

მწირია საკუთრივ იაგორ თამამშევის ოჯახის შესახებ ჩვენამდე მოღწეული ცნობები. თუმცა შემორჩენილი დოკუმენტური მასალები ცხადყოფს, რომ მის ვაჟს მიხეილს ცოლად ბარბარე ვასილის ასული ყორღანოვა (ყორღანაშვილი)

უცნობი მხატვარი. ვასილ ყორღანოვის (ყორღანაშვილის) პორტრეტი

Неизвестный художник. Портрет Василия Корганова (Корганашвили)

An unknown painler. Vasil Korganov's (Korganashvili's) portrait

სომხური საქველმოქმედო საზოგადოების დიპლომი. გადაეცა ბარბარე ვასილის ასულ თამამშევას. 1914. ოფორტი. 36,5 X 54

Диплом армянского благотворительного общества. Выдан Варваре Васильевне Тамамшевой. 1914. Офорт. 36,5 X 54

The Diploma of Armenian Charity. Given to Barbara Vasilievna Tamamsheva. 1914. Ofort. 36,5×54

ბარბარე თამამშევა
Варвара Васильевна Тамамшева
Barbara Vasilievna Tamamsheva

შეურთავს და ოთხი შვილი შეძენიათ: ორი ქალიშვილი – ელისაბედი და ეკატერინე და ორი ვაჟი ვასილი და გიორგი.

1876 წ-ს მ. სმირნოვზე ქორწინებისას მშობლებმა ელისაბედს 100 000 რუბლის მზითვი მისცეს: მათ შორის 5 000 რუბლის ძვირფასეულობა, „გარდეროში და სხვა აუცილებელი საყოფაცხოვრებო საგნები და 80 000 რუბლის საღირალი". ელისაბედს მამა-პაპისეული ქონებიდან წილი აღარასოდეს უნდა მოეთხოვა. 1882 წ-ს თამამშევების მეორე ქალიშვილი, ეკატერინე, ნიკოლოზ რევაზის ძე ერისთავზე გათხოვდა და ოჯახის ქონება კიდევ ერთხელ გადანაწილდა. ხუთი საცხოვრებელი სახლი, სამი დუქანი ბნელ რიგებში. ორი მიწის ნაკვეთი მშენებარე ნაგებობებითურთ, აგარაკები კოჯორსა და კისლოვოდსკში, წისქვილი ორთაჭალაში, საძოვრები და ვენახები ნავთლუღსა თუ დიღომში — ასეთი იყო ამ დროისათვის თამამშევების ქონების არასრული სია. მდიდრული და მრავალფეროვანი მზითვი მისცეს მშობლებმა ეკატერინეს, თუმცა ოჯახის დედის ბარბარე ყორღანოვას სურვილით, იმავე 1882 წ-ს ელისაბედმაც მიიღო დამატებით სახლი განის ქუჩა № 24-ში (ამჟამინდელი გ.ტაბიძის № 20) და მიწის ნაკვეთი, 128 კვადრატული საჟენის ოდენობით.

ამ სახლში ხშირად ეწყობოდა ლიტერატურული და მუსიკალური საღამოები. სხვადასხვა დროს აქ სტუმრობდნენ: ა. ჩაიკოვსკი, კ. აბაშიძე, დ. სარაჯიშვილი, ი. ჯავახიშვილი, პ. მელიქიშვილი, ე. ლანსერე, ტ. ტაბიძე, გ. ლეონიძე...

დღეს-დღეობით, სმირნოვების სახლში, ფორტეპიანოზე, ფერენც ლისტის ფოტოს გვერდით პ. ჩაიკოვსკის ავტოგრაფით დამშვენებული ფოტოცაა, რომელიც კომპოზიტორმა თბილისში თავისი პირველი სტუმრობის დროს, ოჯახის დიასახლისს, ელისაბედ სმირნოვას უსახსოვრა. ამ ვიზიტთან დაკავშირებით ა. ანდრონიკაშვილი თავის მოგონებებში აღნიშნავს: „მის (ჩაიკოვსკის) საპატივსაცემოდ, მტკვრის პირას, თამამშევების ორთაჭალის წისქვილის

მიხეილ სმირნოვი და ელისაბედ სმირნოვა-თამამშევა. თბილისი. ე. ვესტლის ფოტო-სტუდია

Михаил Смирнов и Елизавета Смирнова-Тамамшева. Тбилиси. Фото-студия Е.Вестеля

Michael Smirnov and Elizabeth Smirnova-Tamamsheva. Tbilisi. E.Vestel's photo-studio

ელისაბედ სმირნოვა. თბილისი. ორლაი დე კარვას ფოტო-სტუდია

Елизавета Михайловна Смирнова-Тамамшева. Тбилиси. Фото-студия Орлая де Карва

Elizabeth M. Smirnova-Tamamsheva. Tbilisi. Orlay De Karva's photo-studio

ბაღში, დიდი წვეულება გაიმართა. გაზაფხულის თბილი ჰაერითა და წარმტაცი პეიზაჟით მონუსხულმა პეტრე ილიას ძემ განაცხადა, რომ დიდი ხანია ასე კარგად თავი აღარსად უგრძვნია" (10).

თამამშევების მთელი ოჯახი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ხელოვნებასთან. ელისაბედის ძმა, გენერალ-მაიორის წოდების მქონე, ვასილ თამამშევი, მთავარმართებელთან განსაკუთრებულ დავალებათა ოფიცრის და პირველი მსოფლიო ომის დროს, ლტოლვილთა განსახლების კავკასიის ფრონტის პასუხისმგებელი წარმომადგენლის თანამდებობებს, თბილისის სახაზინო თეატრის დირექტორის საქმიანობასაც უთავსებდა (1907-1917). მეუღლესთან, ოპერის ცნობილ მომღერალ, ელისაბედ ზუბალოვასთან (ზუბალაშვილი) ერთად, ვასილ თამამშევი თითქმის ყოველწლიურად მოსკოვში, პეტერბურგსა და ევროპის უდიდეს ქალაქებში მოგზაურობდა, ეცნობოდა ამ ქალაქების საოპერო თეატრების რეპერტუარს, ნოვაციებს მართვის სისტემაში და თბილისში ცნობილ უცხოელ შემსრულებლებს იწვევდა.

ვასილ თამამშევის შემოქმედებითი პოტენციალი სახვით ხელოვნებაშიც გამოვლინდა. შემონახულია „ზამთრის პეიზაჟი", რომელიც მან ცარცითა და ნახშირით, ტონირებულ ქაღალდზე შეასრულა. წლების მანძილზე იგი იყო ნატიფ ხელოვნებათა წამახალისებელი კავკასიის საზოგადოების ვიცე-თავჯდომარე.

თამამშევები ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი ავტორების ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრების მდიდრულ კოლექციას ფლობდნენ. ოჯახის განსაკუთრებული სიამაყის საგანს ამ კოლექციის მშვენება, ცნობილი რუსი

ნიკოლოზ (კოლა) ერისთავი
Николай (Кола) Эристави
Nikoloz (Kola) Eristavi

ეკატერინე ერისთავი-თამამშევა. თბილისი. ვ. ბარკანოვის ფოტო-სტუდია

Екатерина Эристави-Тамамшева. Тбилиси. Фото-студия В.Барканова

Katherine Eristavi-Tamamsheva. Tbilisi. V. Barkanov's photo-studio

მარინისტის ი. აივაზოვსკის ხუთი ფერწერული ტილო შეადგენდა. ეს ნამუშევრები საქართველოში ვიზიტის დროს ფერმწერმა თამამშევებს თავად უსახსოვრა.

1868 წ-ს ი. აივაზოვსკი კავკასიაში მოგზაურობს. საქართველოს სამხედრო გზა, შავი ზღვის ღელვა, მტკვრის ნაპირებს ჩამოყოლებული, მთაწმინდის ძირში ეაშლილი თბილისი ემოციებით აღავსებს მხატვარს და ისიც უამრავ ჩანახატს ქმნის სამგზავრო ალბომში. მათი ნაწილი, უკვე თბილისში ჩამოსვლის შემდეგ, დასრულებული ფერწერული ტილოების სახეს იღებს. მხატვარი მთელი დღეები გამალებით მუშაობს ველიამინოვის ქუჩაზე (დღეს დადიანის № 15) თამამშევების კუთვნილ სახლში და ვერც კი ამჩნევს ფანჯრიდან მზირალ ცნობისმოყვარე თბილისელებს. იქმნება 15 ფერწერული ტილო კავკასიის თემატიკაზე. მათი დასრულებისთანავე ი. აივაზოვსკი ქარვასლაში გამოფენას აწყობს და რუსეთში დასაბრუნებლად ემზადება. გამგზავრების წინ კი მასპინძლებს თავის ხუთ ნამუშევარს ჩუქნის: ,,ხედი ფეთხაინზე", ,,ტრაპეზუნის ხედი", ,,თბილისის ხედი" და ორი ზღვის პეიზაჟი.

მოგვიანებით ი. აივაზოვსკის ნამუშევრები თამამშევების შვილებს ელისაბედს, ეკატერინესა და ვასილს შორის გადანაწილდება. ზღვის პეიზაჟები ელისაბედთან რჩება და დღეს სმირნოვების სახლშია დაცული.

თამამშევების ძველ სახლში, ველიამინოვის ქუჩაზე, არისტოკრატიული ,,ინგლისური კლუბი" მოქმედებდა. მისი წევრები ქალაქის წარჩინებული საზოგადოების წარმომადგენლები იყვნენ. ,,ინგლისურ კლუბს" ხშირად ეკატერინე თამამშევას მეუღლე ნიკოლოზ ერისთავი და მისი უახლოესი მეგობარი მწერალი, პუბლიცისტი, პოეტი და ცნობილი საზოგადო მოღვაწე

ილია ჭავჭავაძე სტუმრობდნენ. მის ახლო მეგობრულ კავშირს ერისთავების ოჯახთან ჩვენამდე მოღწეული მრავალრიცხოვანი დოკუმენტური მასალებიც ცხადყოფს, მათ შორის ეკატერინე ერისთავის (ქალიშვილობაში თამამშევა) დღიურები და წერილები. ამ ქალბატონის არქივის ნაწილი, გარდაცვალების შემდეგ, 1937 წ-ს, ლიტერატურის მუზეუმს გადაეცა. მათ შორისაა ორი დღიური, მიმოწერა ა. ამილახვართან, ბ. შანშიევასთან, ლ. ბაგრატიონ-მუხრანელთან, ო. ბარიატინსკისთან, მ. ორბელიანთან, ბარონ უინსპერთან და ა.შ. განსაკუთრებული ღირებულებისაა მასალები ქართველი რომანტიკოსი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ. ნიკოლოზ ერისთავი, პოეტს ენათესავებოდა და მისი ნეშთის განჯიდან გადმოსვენების ერთ-ერთი ინიციატორიც იყო. თავად ეკატერინე კი 1915 წ-ს მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, საკუთარი ხარჯებით ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების ერთტომეულის მომზადებასა და გამოცემას განიზრახავს, რისთვისაც ამ საქმის საუკეთესო სპეციალისტებს მოიწვევს: კ. აბაშიძე, ი. გედევანიშვილი, ი. გრიშაშვილი, გ. თუმანიშვილი, გ. ვეზირიშვილი, ს. ფირცხალავა, გ. ლასხიშვილი, გ. ჟურული, დ. შევარდნაძე, გ. რობაქიძე, ი. ჯავახიშვილი. წიგნი ილუსტრირებულია ნ. ფიროსმანის, ლ. გუდიაშვილის, გ. გაგარინის, მ. თოიძის, ვ. სიდამონ-ერისთავის ნამუშევრებით, გამოყენებულია ფოტომასალაც. კრებული გამოცემისთანავე (1922) ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. წიგნის მომზადების ორგანიზებაში ეკატერინეს დისშვილი გიორგი სმირნოვი ეხმარებოდა.

1900 წ-ს გიორგი სმირნოვმა პეტერბურგის უნივერსიტეტი დაასრულა და დიპლომი თბილისის ნიადაგების შესახებ დაიცვა. 1901-1903 წ.წ.-ში ის გერმანიაში, ქალაქ ლაიფციგში, ცნობილ მეცნიერ-პეტროგრაფ ფ. ცირკელთან



ქსნის ერისთავთა საგვარეულო საბეჭდური

Печать Эристави-Ксанских

The family signet-ring stamps Eristavi's of Ksani

გრიგოლ ორბელიანის პორტრეტი. დ. ერმაკოვის ფოტოსურათი ლითოგრაფიიდან

Портрет Григола Орбелиани. Д.И. Ермаков. Фотоснимок с литографии

Grigol Orbeliani's portrait. D. Ermakov. A photo from the lithography

მიემგზავრება სტაჟირებაზე. დაბრუნებულს. პეტერბურგის უნივერსიტეტში სთავაზობენ დარჩენას, თუმცა გიორგი საქართველოში დარჩენას არჩევს და მთელი ცხოვრება კავკასიის გეოლოგიას იკვლევს. მეცნიერი არ წყვეტს კონტაქტებს პეტერბურგთან და მუდმივი მიმოწერა აქვს ამ დარგის ისეთ ცნობილ სპეციალისტებთან როგორიცაა: ფ. ლევინსონ-ლესინგი და დ. ბელიანკინი. ახლო მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა გიორგი სმირნოვს ივანე ჯავახიშვილთან. მათ ჯერ კიდევ პირველ ვაჟთა გიმნაზიაში გაიცნეს ერთმანეთი, შემდეგ უნივერსიტეტში სწავლობდნენ ერთად და თითქმის მთელი ცხოვრება შეინარჩუნეს ეს ურთიერთობა. ურთულეს 1920-30-იან წლებში კი, როგორც გ. სმირნოვის მეუღლე ევგენია ფონ შლეიერი იხსენებს, სწორედ ივანე ჯავახიშვილი დაეხმარა გიორგის საგვარეულო კოლექციის გადარჩენაში.

1904 წ-იდან გიორგი სმირნოვი კავკასიის სამთო სამმართველოში იწყებს მუშაობას. 1909 წ-იდან ის კითხულობს ლექციებს ქალთა უმაღლეს კურსებზე, სადაც თავის მომავალ მეუღლეს ევგენია ფონ შლეიერს (1890-1985) გაიცნობს. სრულიად ახალგაზრდა, მომხიბვლელი და უაღრესად განსწავლული ქალბატონი (თბილისის კურსების მოსმენის შემდეგ ის ხარკოვში გაემგზავრა, სადაც კავკასიის გეოლოგიის საკითხებზე დისერტაციის დაცვა ჰქონდა განზრახული) დახვეწილი ლიტერატურული გემოვნებით და გასაოცარი მეხსიერებითაც გამოირჩეოდა. უკვე ძლიერ ასაკოვანიც კი, ევგენია სმირნოვა თავისი საყვარელი პოეტების თხზულებებიდან ნაწყვეტებს ზეპირად ციტირებდა; სულ ერთია, იქნებოდა ეს ნადსონი, აპუხტინი, პუშკინი თუ ლერმონტოვი. ევგენიას თითქმის ყველა ქიმიური ელემენტის მონაცემები ახსოვდა, რის გამოც მის მეუღლეს იმასაც კი აბრალებდნენ — ცოლი იმიტომ შეირთო, მენდელეევის ცხრილა ზედმეტად, რომ არ გადაეშალაო.

1918 წ-ს დაიბადა გიორგი სმირნოვისა და ევგენია ფონ შლეიერის ერთადერთი ვაჟი, მიხეილ სმირნოვი. ადრეულ ასაკში გადატანილმა ძვლების ტუბერკულიოზმა ხანგრძლივი დროით მიაჯაჭვა მიხეილი საწოლს, შემდგომ კი მისი დაინვალიდებაც გამოიწვია, თუმცა გულისხმიერება, შეუპოვარი ბუნება და შთამომავლობით მიღებული შესანიშნავი მეხსიერება მას ბოლომდე არ დაუკარგავს. დიდი სამამულო ომის დროს მ. სმირნოვმა ექსტერნად დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი, მოგვიანებით კი საქართველოს მწერალთა კავშირის რუსულ სექციასთან დაიწყო თანამშრომლობა — წერდა პიესებს, რომელთაგან არც ერთი არასოდეს არსად დადგმულა; მათი უმეტესობა ოჯახის არქივში ინახება.

გიორგი სმირნოვის სამეცნიერო თუ პედაგოგიური მოღვაწეობა მთლიანად საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს უკავშირდება. ის უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის პირველ პედაგოგთა შორის მოიაზრებოდა.

1926 წ-ს მას პროფესორის წოდება მიანიჭეს, 1932 წ-იდან კი ის გამოყენებითი მინერალოგიის ამიერკავკასიის განყოფილებაში იწყებს მუშაობას. ამ დროისათვის იწყება კავკასიის წიაღისეულის შესწავლა-ათვისება, შესაბამისად მეცნიერების აღნიშნული სფეროსადმი სახელმწიფოებრიეი ინტერესიც მატულობს და ბევრი ახალი გეოლოგიური დაწესებულება იქმნება. იზრდება მოთხოვნა კვალიფიცირებულ კადრებზეც. გ. სმირნოვის უშუალო ხელმძღვანელობით, მკვლევარებად ყალიბდებიან შემდგომში ისეთი ცნობილი სპეციალისტები, როგორებიც იყვნენ: პ. ძოწენიძე, ნ. თათრიშვილი, გ. ჩხოტუა, პ. კილასონია, პ. თოფურიძე. მისივე თაოსნობით იქმნება საქართველოს პეტროგრაფიის სამეცნიერო სკოლა.

დიდია გიორგი სმირნოვის დამსახურება საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სასარგებლო წიაღისეულის შესწავლის საქმეში. მას შეეძლო შეეთავსებინა საველე ექსპედიციები, სამეცნიერო კვლევა და პედაგოგიური მოღვაწეობა. 1951 წ-ს ის დაჯილდოვდა ლენინის ორდენით და მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა.

გიორგი სმირნოვი 1964 წელს, 88 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისმა მეუღლემ, ევგენიამ, მთელი თავისი შემდგომი ცხოვრება ოჯახის კოლექციაზე ზრუნვასა და მის პოპულარიზაციას მიუძღვნა. დედას მიხეილ სმირნოვიც ეხმარებოდა. უკვე 1970-იანი წლებიდან ის ამ უნიკალური ნივთების დაცვის საქმეში საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებულ მხატვრულ-მთარგმნელობით და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარ სარედაქციო კოლეგიას (თავმჯდომარე ო.ნოდია) სთხოვს პარტნიორობას. მსგავსი არჩევანი რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა: ორგანიზაციის საქმიანობის სპეციფიკამ — საქართველოში მთარგმნელობითი საქმიანობის კურირება, ქვეყნის ფარგლებს გარეთ ქართული კულტურის პოპულარიზება, კონტაქტები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებთან: უმთავრესად კი ოთარ ნოდიას პიროვნებამ, მისი აზროვნების მასშტაბურობამ და ამა თუ იმ მოვლენისა და პროცესის აქტუალობის შეფასების უტყუარმა ალღომ.

კავკასიის მთავარმართებელი, დიდი თავადი მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი

Наместник Кавказа, великий князь Михаил Николаевич Романов

Caucasus goverrnor, great noble Michael Nikolaevich Romanov.

ო. ნოდიას ხელმძღვანელობით კოლეგია ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდა. თავდაპირველად სმირნოვების სახლს, ლიტერატურულ ურთიერთობათა სახლის — პუშკინის მემორიალის სტატუსი მიენიჭა. ის საზოგადოებრივ საწყისებზე ფუნქციონირებდა, თუმცა მალევე გაჩნდა საშტატო ერთეულები, სპეციალური ბლანკები და ორგანიზაციის ბეჭედი. ყოველწლიურად იდებოდა თანამშრომლობის ხელშეკრულებები, სადაც ორივე მხარის პირობები მკაფიოდ იყო განსაზღვრული.

1975 წლიდან სმირნოვების სახლში, ანუ ახლად სახელდებულ

გიორგი თამამშევის შვილები – ლიზა და მიშა თამამშევები აღმზრდელთან ერთად

Дети Георгия Тамамшева – Лиза и Миша Тамамшевы с нянней

George Tamamshev's children – Liza and Misha Tamamshevs, together with their foster-parent

ელისაბედ, ეკატერინე და გიორგი თამამშევები. თბილისი. ორლაი დე კარვას ფოტო-სტუდია

Елизавета, Екатерина и Георгий Тамамшевы. Тбилиси. Фото-студия Орлая де Карва

Elizabeth, Katherine and George Tamamshevs. Tbilisi. Orlay De Karva's photo-studio

პუშკინის მემორიალში აქტიური ლიტერატურული ცხოვრება დაიწყო. დაიწერა არაერთი სტატია, როგორც ადგილობრივ, ასევე საკავშირო პერიოდულ გამოცემებში. დამყარდა კონტაქტები სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებთან, ჟურნალ „ოგონიოკის" რედაქციასთან, პუშკინის მუზეუმებთან მოსკოვში, ლენინგრადსა თუ ოდესაში.

1977 წ-ს თბილისში, ლიტერატურული ურთიერთობების სახლის ინიციატივით, ჩატარდა პუშკინის პირველი საკავშირო კონფერენცია. ერთი წლის შემდეგ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში მოეწყო ექსპოზიცია სახელწოდებით „პუშკინისდროინდელი პეტერბურგი".

1979 წ-ს სმირნოვების სახლში პუშკინის 180 წლის იუბილისადმი მიძღვნილი მეორე საკავშირო კონფერენცია გაიმართა. ამავე ღონისძიების ფარგლებში ჩატარდა არაერთი საინტერესო გამოფენა და ა. ბლოკის პოეზიის საღამო.

1983 წლის ოქტომბერში სმირნოვების სახლის სამ გარემონტებულ ოთახში პუშკინის მემორიალის პირველი სამეცნიერო ექსპოზიცია გაიხსნა. იქვე ამ ოთახების გვერდით კი თავად მიხეილ სმირნოვი და დედამისი ცხოვრობდნენ.

1984 წ-ს მძიმედ დასნეულებული მიხეილის ინიციატივით ნ. გოგოლის კონფერენცია მოეწყო. ეს ღონისძიება ალექსანდრა სმირნოვასა და ნ. გოგოლის დაბადების 175 წლისთავს ეძღვნებოდა.

1984 წელს ძველი რუსული თავადური გვარის უკანასკნელმა წარმო-

ივანე აივაზოვსკი
И.К. Айвазовский
Ivan Aivazovski

ი. აივაზოვსკის გამოფენის კატალოგი. 1896

Каталог выставки работ И.К.Айвазовского. 1896

I.K. Iavazovski's exhibitions' catalogue. 1896



КАТАЛОГЪ

120-Й ВЫСТАВКИ

КАРТИНЪ

И. К. АЙВАЗОВСКАГО

ВЪ ЗАЛАХЪ

ИМПЕРАТОРСКАГО ОБЩЕСТВА

1896

მადგენელმა, მიხეილ გიორგის ძემ და უკვე ღრმად მოხუცებულმა 95 წლის დედამისმა, ევგენია ფონ შლეიერ-სმირნოვამ, რთული გადაწყვეტილება მიიღეს — მათ საგვარეულო სახლი და ოჯახის მთელი ქონება ,,საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებულ მხატვრულ-მთარგმნელობით და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი კოლეგიის სახით, საქართველოს სსრ-ს" გადასცეს (11).

შედგა ანდერძი, რომლის მე-9 პუნქტიც ,,პუშკინის ეპოქის ყველა ნივთის სახლში უცილობელ დატოვებას მოითხოვდა, რადგან ამ კოლექციის, როგორც ერთიანი მემორიალური კომპლექსის მნიშვნელობა არ დაკარგულიყო''. ანდერძის აღმსრულებლად ის ადამიანები დასახელდნენ, რომელთა მიმართაც სმირნოვებს სრული ნდობა ამოძრავებდათ — მთავარი მთარგმნელობითი კოლეგიის თავმჯდომარე ოთარ ნოდია და ცნობილი ჟურნალისტი ია მუხრანელი.

1985 წ-ს 20 იანვარს მიხეილ სმირნოვი გარდაიცვალა. იმავე წლის 30 ივნისს გარდაიცვალა დედამისი ევგენია ფონ შლეიერიც. სმირნოვების გამორჩეულად მრავალფეროვანი და ისტორიულად მეტად მნიშვნელოვანი კოლექციის ერთადერთი მემკვიდრე საქართველო იყო. რუსეთიდან და უკრაინიდან მოსული არაერთი შემოთავაზების მიუხედავად, ევარის უკანასკნელმა წარმომადგენლებმა არჩევანი იმ ქვეყანაზე შეაჩერეს სადაც მათი წინაპრების არაერთი თაობა ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, ქვეყანაზე, რომლის ნაწილსაც თავადაც წარმოადგენდნენ.

დღეს სმირნოვების სახლში განთავსებულია არასამთავრობო ორგანიზაცია — ,,კავშირი კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი კავკასიური სახლი''. კოლექცია ,,კავკასიური სახლის'' ნაწილად იქცა. ოჯახური რელიკვიები ექს-

ვასილ თამამშეევი საკარნავალო კოსტუმში. თბილისი. ფილიპოვიჩის ფოტო-სტუდია

Василий Тамамшев в карнавальном костюме. Тбилиси. Фото-студия Филиповича

Vasil Tamamshev in a carnival fancy dress. Tbilisi. Filipovitch's photo-studio

ელისაბედ (ლიზა) ზუბალაშვილი (ვასილი თამამშევის მეუღლე)

Елизавета (Лиза) Зубалашвили (супруга Василия Тамамшева)

Elizabeth (Liza) Zubalashvili (Vasil Tamamshev's wife)

პონირებულია მეორე სართულის მხოლოდ ოთხ ოთახში, ორი პატარა ოთახი კი ფონდებს ეთმობა.

ამჟამად საქართველოს მთავრობა განიხილავს აღნიშნული კოლექციის საფუძველზე სახელმწიფო სამართლებრივი სტატუსის მქონე მუზეუმის შექმნის საკითხს.

სმირნოვების დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენლების ბოლო სურვილი იყო – მათ სახლში გულგრილ ადამიანებს არასოდეს ევლოთ.


Don Juano va bien
que

ნიკოლოზ ერისთავი (ნიკოლოზ ბარათაშვილის დისწული), მართა თარხან-მოურავი, დავით ერისთავი. თბილისი, ა. როინაშვილის ფოტოსალონი

Николай Эристави (племянник Николоза Бараташвили), Марта Тархан-Моуравн, Давид Эристави. Тбилиси. Фото-студия А. Ройнашвили

Nikoloz Eristavi (Nikoloz Baratasshvilis's nephew), Marta Tarkhan-Mouravi, Davit Eristavi. Tbilisi, A. Roinashvili's photo-studio

В Тбилиси (1), в доме Смирновых, на улице Галактиона Табидзе, 20 (бывшая Гановская, затем Акакия Церетели) тесно сплелись разные эпохи, художественные стили и генеалогические корни, уходящие в глубину веков, отражающие грузинские, русские, армянские, итальянские, немецкие, польские, французские пересечения этого рода. Вслед за А.С. Пушкиным Смирновы могли бы повторить: «Имя предков моих встречается поминутно в нашей истории».

Летом 1847 года в Калуге, в семье губернатора Николая Михайловича Смирнова (1808-1870) и его супруги Александры Осиповны Смирновой-Россет (1809-1882) родился младший ребенок, сын Михаил.

Николай Михайлович Смирнов – представитель старинного московского рода, потомок по матери Сергея Леонтьевича Бухвостова "первого российского солдата", служившего в армии Петра I. Государь ценил своего верного спутника во всех боевых походах. В семье бережно сохраняли дары императора, охотно показывали друзьям.

Александра Осиповна Смирнова-Россет родилась в Одессе 6 марта 1809 года в семье Осипа Ивановича Россети (1760-1813) и Надежды Ивановны Лорер (1790-1825). Осип Иванович происходил из старинного дворянского рода. Некоторые исследователи считают его итальянцем, другие – выходцем из Швейцарии, известный пушкинист П.Е. Рейнбот не исключал и румынское происхождение. Сами дети считали отца французом и итальянское написание фамилии Россети сократили до Россет.

Александра Осиповна Смирнова-Россет, хозяйка литературного салона и талантливая мемуаристка, была приятельницей А.С. Пушкина, В.А. Жуковского, И.А. Крылова, Н.В. Гоголя, Е.П. Ростопчиной, И.С. Тургенева, К.П. Брюллова, А.Н. Мицкевича, Ф. Листа, и список этот бесконечен. Ее образ навсегда запечатлен в русской лирике и прозе XIX века.

В 1855 году Смирновы пригласили воспитателем сына известного писателя, поэта, драматурга Якова Полонского. Во время ежедневного общения со своим подопечным Полонский не раз вспоминал проведенные в Грузии (1846-1851) годы, которые оставили яркий след в жизни и творчестве поэта. Поездки по стране, знакомство с ее самобытным фоль-

უცნობი ქალბატონი ბავშვებთან ერთად

Неизвестная с детьми

An unknown lady together with children

клором, богатой историей и этнографией – все оживало в беседах с воспитанником. Эти рассказы вызывали живой отклик у юного Михаила, ведь в его жилах текла и грузинская кровь.

Его мать, Александра Осиповна Россет, провела детские годы в Украине, в селе Грамаклея, в имении бабушки - грузинки Екатерины Евсеевны Лорер (урожденной Цицишвили). Екатерина Евсеевна происходила из древнего грузинского княжеского рода. Ее отец Евсей Цицишвили (род. ок.1700 г.) хорошо знал известного грузинского поэта Давида Гурамишвили. Из потомства Евсея и его супруги Матроны, кроме Екатерины, известен Дмитрий Евсеевич Цицишвили (1747-1835), женатый на Варваре Егоровне Грузинской (1762-1832), дочери царевича Георгия Вахтанговича. Родство Цицишвили с грузинским царским двором на этом не исчерпывается. Прапрадед Екатерины и Дмитрия был женат на дочери кахетинского царевича Георгия и внучке царя Кахетии Александра II, а их родственница Мариам Цицишвили стала женой последнего царя Грузии Георгия XII. Высокое родство помнили и заслуженно им гордились.

